

ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა სჭირს ჩვენს ეკონომიკას

გაზეთი “24 საათი”, “ბიზნესი” – 28 მაისი, № 117, 2008

რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობას უამრავი იმიდისმომცემი დაპირების მოსმენა უწევდა და შესაბამისად, საარჩევნო ყუთთან მისულებმა ზოგმა რით მოვიტყუეთ თავი და ზოგმა რით. ფაქტია, რომ მიუხედავად ოპოზიციურ პარტიათა გულუხვობისა, ამომრჩეველი ხელისუფლებას უფრო ენდო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფო ბიუჯეტის გათვალისწინებით და ეკონომიკაში არსებული რესურსებით რამდენად შესაძლებელია ყველა იმ დაპირების შერულება, რასაც უმრავლესობა წინასაარჩევნოდ თავის თავზე იღებდა?

როგორც ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა ამბობს, ყველა დაპირება შესრულებადია, მიუხედავად იმისა, ხელისუფლება იძლევა ამას თუ ოპოზიციური პარტია, მაგრამ საქმე ისაა, რას მოუტანს ქვეყანას ეს დაპირებები.

ლადო პაპავა: „როცა ლაპარაკია ხელფასებისა და პენსიების გაზრდაზე, ამაში ხელისუფლება და ოპოზიციური პარტიები ერთმანეთს ეჯიბრებიან. თავისთავად, ეს ერთის მხრივ კეთილი ზრახვაა, მაგრამ თუკი ამ ყველაფერს ხელისუფლება განახორცილებს და მას არ ექნება ეკონომიკური ბაზა, ეს ძალიან მაღალი დონის ინფლაციას გამოიწვევს. მართლაც, რატომ არ შეიძლება მინიმალური ხელფასი 2 ათასი ლარი იყოს? შეიძლება, მაგრამ რის ხარჯზე? იმის, რომ ეროვნულ ბანკს დავაბეჭდინოთ დამატებითი ფული და ქვეყანას ვუტიროთ ყოფა, გავანადგუროთ. სამწუხაროდ, არც ერთ ოპოზიციურ პარტიას და რაც მთავარია, არც ხელისუფლებას, არა აქვს რეალურად იმის გათვლა, რომ დაპირებული პენსიებისა და ხელფასების მატება თუ სხვადასხვა სოციალური შეღავათები რამდენად უზრუნველყოფს ქვეყანაში სტაბილურობას, ხომ არ გამოიწვევს ეს ინფლაციის კიდევ უფრო გაღრმავებას, ანდა რას გამოიწვევს ეს ჩვენი ეროვნული ვალუტის კურსთან დაკავშირებით, როგორი იქნება ქვეყნის საგადამხდელი ბალანსი... ასეთი

თემები საკმაოდ შორსაა ნებისმიერი პარტიის განცხადებისგან. ამიტომ შევთანხმდეთ: ყველა წინასაარჩევნო დაპირების შესრულება შეიძლება, მაგრამ ზოგიერთმა ქმედებამ შესაძლოა ქვეყანა დაანგრიოს“.

– რა რესურსი აძლევს ხელისუფლებას იმის საშუალებას, რომ ხალხს პენსიების გაზრდას დაპირდეს?

– ჩვენნაირი ქვეყნისათვის საერთაშორისო სტანდარტით დაშვებულია წლიური 6%-იანი ინფლაცია და თუ გვინდა, ზომიერი ინფლაცია შევინარჩუნოთ, მაშინ პენსია ამ ინფლაციის მიდამოებში უნდა გავზარდოთ. ოღონდ თავი უნდა დავანებოთ ყველანაირ ფსევდოპროგრამებს, როგორცაა სხვადასხვა ტიპის ვაუჩერები, ე.წ. დასაქმების პროგრამები და ა.შ. ეს არის აბსოლუტურად გადაყრილი ფული, რომელიც საბოლოო ჯამში იფლაციას იწვევს. ხოლო პენსიების ზრდა უნდა ხდებოდეს არა ნახტომისებურად, არამედ თანდათანობით, რომ საბოლოო ჯამში პენსიები საარსებო მინიმუმამდე მაინც დავიყვანოთ. აქ კიდევ მეორე პრობლემა დგას: ჯერ კიდევ დასათვლელია, რამდენია ქვეყანაში საარსებო მინიმუმი. მე არაერთხელ მითქვამს და დღესაც მიხდა გავიმეორო, რომ პირველ რიგში ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა სჭირს ჩვენს ეკონომიკას, რამდენად ჯანმრთელია იგი და რამდენად ავადმყოფი. და თუ ავადმყოფია, კონკრეტულად რა სფეროებში გამოიხატება ეს ავადმყოფობა, რათა ზუსტად დავსვათ დიაგნოზი. ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება გარკვეული სქემის შერჩევა, როგორ ვუმკურნალოთ ჩვენ ეკონომიკას. ეს რომ ვიცოდეთ, საჭიროა ობიექტური სტატისტიკური მონაცემები. სამწუხაროდ, სტატისტიკის დეპარტამენტი დღეს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია და მიუხედავად იმისა, რომ იქ საკმაოდ კვალიფიციური ადამიანები მუშაობენ, ოფიციალურად აქვეყნებენ იმ ინფორმაციას, რომელიც არის მთავრობის საქმიანობის შემალამაზებელი. ვერ ვიღებთ რეალურ სურათს, რა ხდება ქვეყნის ეკონომიკაში, დანამდვილებით რამდენი პროცენტია ინფლაცია, რამდენია მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე. ასეთ ვითარებაში რაიმე პროგრამაზე საუბარიც კი ზედმეტია.

– ხელისუფლების ყველაზე დიდი წინასაარჩევნო დაპირება იყო საქართველო სიღარიბის გარეშე...

– მოწოდება, რომ საქართველო იქნება სიღარიბის გარეშე, ობიექტურად არაშესრულებადია. რაც უნდა განვითარებული ჰქონდეს ეკონომიკა, არ არსებობს ქვეყანა მსოფლიოში, სიღარიბე რომ არ იყოს. თუნდაც იმიტომ, რომ

ვიდაცა ვიდაცასთან შედარებით მუდამ იქნება ღარიბი. ამერიკის შეერთებულ შტატებში დღეისათვის მოსახლეობის 12% ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს მიღმა. ასე რომ, თვითონ ეს მოწოდება „საქართველო სიღარიბის გარეშე“, მცდარია. თუმცა საინტერესოა, რაკი მთავრობამ ეს მოწოდება შექმნა, ამ სახელწოდების ქვეშ რა პროგრამა არსებობს. ეს პროგრამა ამა წლის იანვარში დაამტკიცა პარლამენტმა საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ და მასში ერთი მცირე აბზაცია მიძღვნილი კონკრეტულად სიღარიბის პრობლემაზე. აქ წერია, რომ სიღარიბე საგრძნობლად შემცირდება და 5 წელიწადში, მათი რიცხვი, ვისაც დღეს მთავრობა ღარიბად თვლის, განახევრდება. ასე, რომ ლოზუნგი „სიღარიბის გარეშე“, მთავრობას, ჩვენგან განსხვავებით, სულაც არ მიაჩნია უაზრობად, მაგრამ იგი ვერ იღებს იმის პასუხისმგებლობას, რომ ქვეყანა მართლაც სიღარიბის გარეშე დატოვოს. მოგვინებთ, კერძოს აპრილის ბოლოს, კი მთავრობამ წარმოადგინა პარლამენტში დოკუმენტი, თუ რა უნდა გეკეთდეს ქვეყნის ეკონომიკაში 2009-2012 წლებში, ამ დოკუმენტის მთავარი მოწოდებაც ასევე „საქართველო სიღარიბის გარეშეა“, მაგრამ უშუალოდ სიღარიბის დაძლევის აქაც მცირედი ადგილი ეთმობა და თუ იანვრის დოკუმენტში მთავრობა ღარიბთა რიცხვის განახევრებას გვპირდებოდა, აქ ლაპარაკობს, რომ ამ ადამინთა რაოდენობა მხოლოდ შემცირდებაო. ეს განცხადება იმდენად რბილია, რომ ერთი პროცენტითაც რომ შემცირდეს, ნიშნავს რომ შემცირდა.

ამ საკითხზე მე არაერთხელ მითქვამს პარლამენტშიც და გაზეთებშიც დამიფიქსირებია, მაგრამ ის სარეკლამო რგოლები, აბრები, თუ ბილბორდები ისე ლამაზად ახვევს ხალხს თავბრუს, რომ რაც არ უნდა ვილაპარაკო, ამ კარგად შეფუთულ სისულელეს ვერ გადავფარავ.

– სიღარიბის დაძლევის პროგრამის ფარგლებში ხელისუფლებამ ერთი თვის წინ ევროობლიგაციები გამოუშვა. რამდენად დაეხმარება ეს ინიციატივა ქვეყანაში სიღარიბის აღმოფხვრას?

– ევროობლიგაციები პრემიერ მინისტრის ინიციატივა იყო, თუმცა რა შუაშია სიღარიბის დაძლევისათან ეს ფული, ჯერჯერობით ნათელი არ არის. ამ თანხიდან 150 მილიონი დოლარი ჩაიდო მომავალი თაობების ფონდში, 100 მილიონი კი სტაბილური განვითარების ფონდში, ხოლო დანარჩენ 250 მილიონ დოლარზე, მთავრობას, მისივე განცხადებით, ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია. ასეა თუ ისე, ჯერჯერობით ეს ფული არანაირ კავშირში არ არის სიღარიბის დაძლევისათან.

– როგორია ამ ფულის გაკონტროლების მექანიზმი?

– ეს ფონდები შექმნილია საქართველოს კანონმდებლობით და ის თანხები, რომელიც აკუმულირებულია ამ ფონდებში ისევე გაკონტროლდება, როგორც ნებისმიერი საბიუჯეტო სახსრები და მას გააკონტროლებს კონტროლის პალატა, თუ მანამდე იგი არა დაანგრიეს. კარგად გამოგეთ, მე არაფერი მაქვს ქუთაისის განვითარების საწინააღმდეგო, მაგრამ კონტროლის პალატის იქ გადასვლით ქუთაისი ვერ განვითარდება, ხოლო ამ ორგანოს გადატანა საქართველოს ნებისმიერ ქალაქში მის ძირითად ფუნქციას დაანგრევს, ვინაიდან ყველა მთავარი საბიუჯეტო ორგანო წარმოდგენილია თბილისში, ხოლო კონტროლის პალატა, ზოგჯერ კვირაობით ზის და ამოწმებს მათ დოკუმენტაციას. თუ ის ქუთაისში გადავიდა, გამოდის, რომ მისი თანამშრომლები მუდმივად მივლინებაში უნდა იყვნენ, ანდა, აქვე იმუშაონ და მხოლოდ ხელმძღვანელობა იქნება ქუთაისში. ეს ხომ პაროდიაა.

– რაც შეეხება ოპოზიციური პარტიების დაპირებებს, როგორ მოახერხებენ ისინი მხარდამჭერთა იმედების გამართლებას?

– როცა ოპოზიციური პარტიები ასეთ განცხადებებს აკეთებენ, ხშირ შემთხვევაში მათ იციან, რომ ამის განხორციელების რესურსი ქვეყანას არა აქვს. თუმცა, შეიძლება არც იცოდნენ და არც აინტერესებდეთ იმ ამარტივი მიზეზის გამო, რომ მთავარია შეჯიბრი და ამომრჩევლის ხმის მოპოვება, მაგრამ, ამ პარტიებმა იციან, რომ თუ საპარლამენტო ბარიერი გადალახეს, პრეზიდენტი არის პრეზიდენტი და რაც გაუხარდებათ, ყველაფერს ისე ვერ გააკეთებენ, თუმცა ამომრჩევლისათვის მუდამ ექნებათ სათქმელად – თქვენ რომ მაშინ სააკაშვილი არ აგერჩიათ და ცვენი ლიდერი აგერჩიეთ, ის ამას გაგიკეთებდათო. თანაც ოპოზიციური პარტიების დაპირებები საპარლამენტო არჩევნების დროს ბევრად უფრო ზომიერი იყო, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებისას. მაშინ გახსოვთ, პარტარაკაციში ილი ცოცხალი იყო და მან დაპირებების ისეთი ფეიერვერკი დაატრიალა, რომ ყველა შეეცადა რაღაცნაირად გატოლებოდა. ახლა უფრო ზომიერია დაპირებები, თუ არ ჩავთვლით ქრისტინ დემოკრატებს, რომელთა 12 მილიარდიან პროექტზე მე ვერც აუგს ვიტყვი და ვერც კარგს, რადგან არ ვიცნობ. შეიძლება მართლაც აქვთ ფანტასტიური გათვლები.

რაც შეეხება ლეიბორისტებს, რომლებიც აქცენტს აკეთებენ უფასო განათლებასა და ჯანდაცვაზე, რამდენიც არ უნდა იძახონ, განა თვითონ არ იციან, რომ უმრავლესობით ვერ მოვლენ პარლამენტში? თუმცა ისინი

ბოლომდე იბრძოლებენ ამ დაპირებების შესასრულებლად და რომც გაიყვანონ ლეიბორისტებმა თავისი ფინანსთა მინისტრი, იმ ბიუჯეტს რომ ჩახედავს და ნახვს, რომ არ ეყოფა რესურსი, ხომ მიხვდება, რომ შეუძლებელია მათი პროგრამის შესრულება... მაგრამ მთავარი მათთვის ეს არ არის, მათავრია მოხვდნენ პარლამენტში, ხოლო პროგრამა და დაპირება ეს მეორეხარისხოვანია.

სხვათა შორის, ასე იყო ყოველთვის. ამას გუებნებით ის ადამიანი, რომელსაც მონაწილეობა მიმიღია არაერთ წინასაარჩევნო დოკუმენტის დაწერაში და ვიცი, ეს რა არის. მაგალითად, როცა 1995 წელს დაიწერა მოქმდაქტო კავშირის წინასაარჩევნო პროგრამა, ამ პროგრამაში, რომელსაც ჩემი სახელი ერქვა, ერთ სიტყვასაც კი ვერ ნახავთ ყბადაღებულ “მილიონ სამუშაო ადგილზე”. მაგრამ შემდეგ როცა ეს დოკუმენტი წაიკითხეს პარტიის ლიდერებმა, ერთ-ერთ ძალიან ჭკვიან პოლიტიკოსს მოუვიდა “გენიალური” იდეა, ამ პროგრამისთვის სახელად დაერქმიათ „მილიონი სამუშაო ადგილი“. ეს აიტაცეს და გაპიარდა. იგივე მახსენდება ბურჯანაძე-დემოკრატების საარჩევნო დოკუმენტზეც, რომლის პრეზენტაციაც შედგა, მაგრამ არჩევნების შემდეგ ეს დოკუმენტი საერთოდ დავიწყებული იქნა და პარლამენტში არანაირ ფასეულობას აღარ წარმოადგენდა. ამიტომ, ჩემი გამოცდილება მიდასტურებს, რომ რადგან ჩვენს ამომრჩეველს არა აქვს იმის პოლიტიკური კულტურა, რომ პროგრამები მოითხოვოს, ან იმ დაპირებების უკან ის იკითხოს, ამხელა ფულს რომ მპირდები, ინფალცია არ მოჰყვება? ჩვენს ეკონომიკას აქვს კი ის რესურსი, რომ მომცე პენსია, ხელფასი, თუ მდიდარს წავართვათ და ღარიბებს გავუნაწილოთ? აქედან გამომდინარე, ხშირ შემთხვევაში პარტიები როცა განცხადებას აკეთებენ, ეს მათთვის არ არის მნიშვნელოვანი. მე მოვიძიე და რეალურად მხოლოდ ერთი პარტიის პროგრამა აღმოვაჩინე, რესპუბლიკელების, თუმცა არც ეს პროგრამაა იდეალური და ჩემთვის, როგორც ეკონომისტისთვის, ძალიან ბევრი მომენტი სულ ცოტა საკამათო მაინც.

არჩევნების შედეგებით თუ ვიმხჯელებთ, ვნახავთ, რამდენად დაიჯერა ჩვენმა მოსახლეობამ, რომ ის პარლამენტს ირჩევს და არა საკრებულოს. როცა საუბარია იმაზე, რომ დეპუტატი მოდის პარლამენტში იმ დაპირებებით, რომ გზას დააგებს, კანალიზაციას გააკეთებს, სამარშრუტო ავტობუსს დანიშნავს თუ „ხრუშჩოვკებს“ დაანგრევს, გეკითხებით, რა შუაშია პარლამენტი? ანუ ეს ყველაფერი გათვლილია, იმაზე, რომ ჩვენს მოსახლეობას, სამწუხაროდ აქვს

ძალიან დაბალი პოლიტიკური კულტურა და არ ესმის, რომ ეს არ არის პარლამენტის და დეპუტატის საქმე. ხოლო თუ ბიზნესმენი პოლიტიკაში მოდის იმისათვის, რომ ხალხს დაეხმაროს, რა საჭიროა ამისათვის პოლიტიკა, ისე დაეხმაროს! წინასწარჩვენო კამპანიის პერიოდში ჩვენ ვნახეთ, რომ ძალიან ბევრ რაიონში რაღაც გააკეთდა, მოწესრიგდა. ისმის კითხვა, ვის მიერ გააკეთდა ეს ყველაფერი, მაჟორიტარი კანდიდატის, თუ მერიის? თუ ამას აკეთებს თბილისში მერია და სხვა ქალაქებში გამგეობა, რა შუაშია აქ მაჟორიტარი დეპუტატი?

ყოველ შემთხვევაში, ვინც ამ წერილს წაიკითხავს, არჩევნების შედეგებზე შეუძლია დასკვნა გააკეთოს, გაიზარდა თუ არა ჩვენი ამომრჩევლის პოლიტიკური კულტურა, ანუ ჩვენი ამომრჩეველი ხმას აძლევს იმას, რომ პარლამენტში ჰყავდეს პოლიტიკოსები, ხედავს რომ პარლამენტი კანონშემოქმედებითი ორგანოა, თუ იგი ისევ ფიქრობს, რომ ოღონდაც მას საყოფაცხოვრებო პრობლემები გადაუწყვიტონ და მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ როგორი პარლამენტი იქნება.

ბელა ჩეკურიშვილი